შ.პ.ს "ნოვა"
ს/კ 202 358 126
საქართველო, თბილისი,
0119, აგლაძის ქ. №45
ტელ: (+032) 200 33 33
ელ.ფოსტა: info@nova.ge
ვებ: www.NOVA.ge

"NOVA" LTD
ID 202 358 126
45 R. AGLADZE STR.,
TBILISI, 0119, GEOGIA
TEL: (+032) 200 33 33
E-mail: info@nova.ge
Web: www.NOVA.ge

წერილი N 21.01.2019/01

თარიღი: 21.01.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, შპს „ნოვა", რომელიც 2006 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე და ახორციელებს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების იმპორტს, წარმოებას, რეალიზაცის და ექსპორტს. კომპანია ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილია ორ ლოკაციაზე თბილისსა და ბათუმში. „ნოვა" მის დაქვემდებარებაში არსებულ საწარმოო ობიექტზე (ქალაქი ბთუმი, აეროპორტის გზატკეცილი #261), სადაც პოლიეთილენის ავზების წარმოება როტაციული მეთოდით ხდება („გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის #7" თანახმად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს საქმიანობის განხორციელების უფლება 2018 წლის 22თებერვალს), 2019 წლისთვის გეგმავს (დამატებითი) ავზების საწარმოო ხაზის (დანადგარის) გამართვას და ექსპლუატაციაში გაშვებას.

ახალი საწარმოო ხაზი (დანადგარი) იქნება (როგორც მანამდე არსებული) იტალიური "Polivinil"-ის ბრენდის და პროდუქციის წარმოება განხორციელდება (იგივე) მექსიკური ნედლეულით (წარმოებული მექსიკური კომპანიის "Polimeros Mexicanos" მიერ), რითაც აქამდე კომპანია ახორციელებდა ავზების წარმოებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 705
"21" 01 2019
3/1
02

ახალი საწარმოო ხაზის საშუალებით შეგვეძლება გავზარდოთ წარმოებული პროდუქციის პარამეტრები და მომხმარებელს შევთავაზოთ 100-დან 10000 ლიტრამდე მოცულობის, სხვადასხვა ფორმის პოლიეთილენის წყლის ავზი.

მოგახსენებთ, რომ:

1. გამომდინარე იქედან, რომ შეგვიძლია ნედლეულის განმეორებით გამოყენება ავზის წარმოების მიზნით, საწარმოში კვლავ არ წარმოიქმნება პოლიეთილენის ნარჩენი.
2. სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება ტერიტორიაზე არსებულ საკანალიზაციო ქსელში.
3. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და მცირე საწარმოო ნარჩენის სეპარირება და ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი კონტრაქტორი კომპანიის მიერ (შპს "ნოვა"-ს (ს/ნ 202358126) ნარჩენების გეგმა შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან (წერილი #7672; 15.06.2018)).
4. ვინაიდან ავზების ახალი საწარმოო ხაზის (დანადგარი) მონტაჟი ხდება იგივე საწარმოში (იგივე ტერიტორიაზე), ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს მონტაჟი (დაერთება) მოხდება საწარმოში უკვე არსებულ გაფრქვევის მილზე.
5. მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების გამოთვლა მოხდება (კვლავ) გამოთვლითი მეთოდით და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ყოველწლიური ანგარიში აიტვირთება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საიტზე ელექტრონული ანგარიშგების ფორმით.
6. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტერიტორია დასახლებულ პუნქტთან დაშორებულია დაახლოებით 1 კმ მანძილით. შესაბამისად, მოსახლეობაზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით გამოწვეული ზემოქმედება მინიმალური იქნება, ხოლო ხმაურის გავრცელება - თითქმის უმნიშვნელო.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული საქმიანობა ეწინააღმდეგება „საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულაციებს, წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მიხედვით.

გთხოვთ მიიღოთ დოკუმენტი წარმოებაში.

დამატებითი ინფორმაციის და დოკუმენტაციის საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ წარმოგიდგინოთ საჭირო ინფორმაცია.

პატივისცემით

შპს “ნოვა”-ს გენერალური დირექტორი

ედიშერ ხიმშიაშვილი

შპს "ნოვა-ს" საწარმოს გეგმა



სასახურავე
მასალების
საწარმო

თაბაშირ-მუყაოს
ფილების
პროფილების და აქსესუარების
საწარმო

პოლიეთილენის
ავზების საწარმო